მსაჯი, რომელმაც არ იცის მსაჯობა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 14 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “დინამო” (მოსკოვი) 0:1 (0:1).

მოსკოვი: იაშინი, კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, სოკოლოვი, ცარიოვი, ფადეევი, კოროლენკოვი, ჩისლენკო, შაპოვალოვი, რიჟკინი.

თბილისი: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, გრამატიკოპულო, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ა. მალეცი (უჟგოროდი).

ჩვეულებრივ, როცა გუნდი აგებს მატჩს, მას ყოველთვის აქვს ხოლმე საბაბი, უკმაყოფილო იყოს მსაჯის მოქმედებით. მართლაც, სუბიექტური მსჯელობისა და თავის გამართლებისათვის თამაშის წესებში არის ისეთი პუნქტები (“11-მეტრიანი საჯარიმო”, “თამაშგარე მდგომარეობა” და სხვ.), სადაც მოდავეს არ დააკლდება მასალა საჩივრის გამოძებნისათვის.

14 აპრილს თბილისელებმა წააგეს ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და ძნელი მატჩი მოსკოვის “დინამოსთან”, წააგეს დაძაბულ და მძიმე ბრძოლაში, მაგრამ საქმე მხოლოდ წაგებაში არაა. 1936 წლიდან დაწყებული, რაც ტარდება სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში საკლუბო გუნდებს შორის, მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს ერთმანეთს შორის ჩატარებული აქვთ 37 მატჩი, რომელთაგან მოსკოველებმა მოიგეს 26, წააგეს 5 და ფრედ დაამთავრეს 6. ამჯერად საბჭოთა ფეხბურთის ლიდერმა თავის აქტივს მოუმატა 27-ე გამარჯვება და ამაში გასაკვირი არაფერია, ჩემპიონმა დამსახურებულად, პატიოსანი შრომით მოიპოვა მორიგი 2 ქულა.

მაგრამ სავსებით მართალი იყო თბილისელთა მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, როცა მატჩის დამთავრების შემდეგ საყვედურით მიმართა უჟგოროდელ მსაჯს ა. მალეცს და მის თანაშემწეებს ყოვლად შეუფერებელი, არაკვალიფიციური მსაჯობისათვის, მართალი იყო გამსინჯავი კომისია, როცა შენიშვნებით ააჭრელა მსაჯის ბარათი, და ბოლოს, მართალი იყვნენ მაყურებლები, როცა მთელი თამაშის განმავლობაში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მსაჯის მიმართ.

ა. მალეცი სისტემატურად ჩამორჩებოდა თამაშის ტემპს, გამუდმებით აგვიანებდა როგორც რთულ სიტუაციებში მომხდარი ამბების უშუალო სიახლოვეს ყოფნას, ისე მათს ფიქსირებას, მისი ურთიერთმოქმედება თანაშემწეებთან ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა, ხოლო რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან პუნქტს, როგორიცაა დამნაშავის სასარგებლო სჯა, აქ ა. მალეცმა სრული უვიცობა გამოიჩინა.

მსაჯის მიერ დაშვებული შეცდომებიდან ორი იმდენად სერიოზული იყო, რომ გავლენა მოახდინა თამაშის შედეგზე. მან მე-6 წუთზე მასპინძელთა კარში ჩათვალა ბურთი, რომელიც აშკარად თამაშგარე მდგომარეობიდან იყო გატანილი (რაზეც მან მაშინვე მიიღო სიგნალი გვერდითი მსაჯისაგან) და მეორე ტაიმის დასაწყისში არ დანიშნა თბილისელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო, თუმცა მცველის მიერ წესის უხეში დარღვევა საჯარიმო მოედანზე ეჭვს არ იწვევდა.

გოლს, რომელიც თბილისელთა კარში იქნა ჩათვლილი, ერთგვარი ფსიქოლოგიური ტრავმის ხასიათი ჰქონდა ჩვენი გუნდისათვის. მას შემდეგ მოთამაშეები ნერვიულობდნენ, ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, ერთ მთლიანობაში ვერ აქცევდნენ ცალკეული რგოლების მოქმედებას.

დაცვაში სუსტად ითამაშა სიჭინავამ. იგი ხშირად კარგავდა ბურთს, ვერ ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში და არა ჰქონდა შესაბამისი კონტაქტი პარტნიორებთან. თავიანთი ფუნქციები მთლიანად ვერც ნახევარმცველებმა შეასრულეს (განსაკუთრებით თავდასხმასთან ურთიერთობის საკითხში) და ამიტომ დაცვაში მთელი სიმძიმე დააწვა თორაძესა და ჩოხელს, რომლებმაც დიდი სამუშაო შეასრულეს ამ დღეს.

კარგად ითამაშა თავდასხმაში ბარქაიამ, მაგრამ მის მოფიქრებულ, დაგეგმილ მოქმედებას მეტწილად მხარდაჭერა არა ჰქონდა მარჯვენა მხრიდან.

აშკარად პასიურად ჩაატარა მატჩი კალოევმა. მის უშუალო დარაჯს _ კრიჟევსკის იმდენი შეცდომა ჰქონდა ადგილების არჩევასა და დაბალი ბურთებისათვის ბრძოლაში, რომ ცენტრფორვარდი მეტს ვერც ინატრებდა. კრიჟევსკი არასწორად ანაწილებდა ბურთებს, უშვებდა ტექნიკური ხასიათის ლაფსუსებს. ყველაფერი ეს კალოევმა ვერ გამოიყენა და პარტნიორებიც, თითქოს განზრახ, მას მეტწილად მაღალ ბურთებს აწვდიდნენ, სადაც მოსკოველი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე.

თბილისელთა იერიშებს ყველაზე უფრო რეალური და ეფექტური ხასიათი მარცხენა ფლანგზე ჰქონდა, სადაც კესარევი აშკარად ვერ უმკლავდებოდა მესხს. აქეთა მხრიდან შეიძლებოდა გასაღების პოვნა გამარჯვების მისაღწევად, მაგრამ, ჯერ ერთი, მესხი ხშირად იყო გამორთული საიერიშო კომბინაციებიდან, მეორეც _ იგი ზედმეტად ერთობოდა დრიბლინგით, ერთობოდა ფინტებით და ივიწყებდა კარის წინ მყოფ პარტნიორებს, რომლებიც ამაოდ ელოდნენ მისგან გადაცემას. ასეთ დროს წამები წყვეტს ყველაფერს.

მოსკოველები უკეთ შეეგუვნენ მინდვრის მდგომარეობას. მართალია, "დინამოს" სტადიონზე ორი დღის განმავლობაში "ეკიდა" შვეულმფრენი, რომელიც პროპელერისაგან გამოწვეული ქარით გააშრო მხოლოდ გრუნტის ზედაპირი, სიღრმეში კი იგი მაინც ტალახიანი იყო და ათიოდე წუთის შემდეგ თამაში უაღრესად ძნელი შეიქნა.

მ. იაკუშინის გეგმის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს წარმოადგენდა ღოღობერიძის ნეიტრალიზება. ამ მიზნით ნახევარმცველებს სოკოლოვსა და ცარიოვს ადგილები შეეცვალათ და ამ უკანასკნელს მიეცა კონკრეტული დავალება _ ინდივიდუალური ბრძოლა ღოღობერიძის წინააღმდეგ. ორი კაპიტნის ეს ბრძოლა დამთავრდა მოსკოველის გამარჯვებით და ამან დიდი გავლენა მოახდინა მთელ თამაშზე. თბილისელებს აკლდათ ორგანიზატორის ხელი, ხოლო მოსკოველთა თავდასხმა კარგად იყენებდა უკანა ხაზების აქტიურ დახმარებას. ფორვარდები განუწყვეტლივ მოძრაობენ, იცვლიან ადგილებს და ყოველთვის ახერხებენ თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნას ბურთის მიღების მომენტში. თითოეული მათგანი თამაშის დროს მთელ თავის მაქსიმუმს აძლევს კოლექტივს.

თბილისელებს ჰქონდათ რამდენიმე შესაძლებლობა გაეთანაბრებინათ კოროლენკოვის მიერ მე-6 წუთზე გატანილი პრობლემატური გოლი, მაგრამ ისინი არ იქნა გამოყენებული. დაიკარგა ისეთი მომენტიც კი, როცა იაშინის მიერ დატოვებულ კარში მხოლოდ კრიჟევსკი იდგა და მან აკრობატული ნახტომით თავით მოიგერია ძლიერად დარტყმული ბურთი.

მატჩი წაგებულ იქნა _ 0:1.

ბ. ქორქია.
"ლელო", 17 აპრილი, 1960 წ.